

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ევროპროდუქტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში..	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	6
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	7
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	8
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა	11
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში.....	19
ახალი ფასს-ების მიღება,ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში..	20
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	32
ფინანსური რისკების მართვა	32
ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	36
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვეროპროდუქტი“-ს აქციონერებსა და დირექტორებს: მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვეროპროდუქტი“-ს (ჯგუფი) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები, ვმოქმედებდით დამოუკიდებლობის პრინციპით. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტების ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და *ფასს*-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე, რომელიც მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (საწარმოს უწყვეტად ფუნქციონირების პრინციპი) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატიული გზა. ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტის პროცესი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენი აზრით:

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობითი ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

გელა ჩადუნელი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტის პროცესი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენი აზრით:

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობითი ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

გელა ჩადუნელი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო



შპს ევროპროდუქტი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	16,662,248	15,360,657
არმატერიული აქტივები		160,872	148,385
აქტივის გამოყენების უფლება	6	12,105,036	10,532,426
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	8	375,024	375,024
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,303,180	26,416,492
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	12,809,905	12,258,646
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	7,501,702	6,265,213
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	23,319
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		761,615	445,547
ფული და ფულის ექვივალენტები	9	883,451	1,690,149
სულ მიმდინარე აქტივები		21,956,673	20,682,874
სულ აქტივები		51,259,853	47,099,366
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		16,801,722	16,033,215
სულ კაპიტალი		16,803,722	16,035,215
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6	14,365,901	12,939,390
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,365,901	12,939,390
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	11,571,805	9,697,629
მიღებული ავანსები		-	31,798
მოკლევადიანი სესხები	11	7,955,020	8,395,335
საგადასახადო ვალდებულებები		563,406	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,090,230	18,124,762
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		51,259,853	47,099,366

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

შპს ევროპროდუქტი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5 16,662,248	15,360,657
არამატერიალური აქტივები	160,872	148,385
აქტივის გამოყენების უფლება	6 12,105,036	10,532,426
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	8 375,024	375,024
სულ გრძელვადიანი აქტივები	29,303,180	26,416,492
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	7 12,809,905	12,258,646
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8 7,501,702	6,265,213
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	23,319
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	761,615	445,547
ფული და ფულის ექვივალენტები	9 883,451	1,690,149
სულ მიმდინარე აქტივები	21,956,673	20,682,874
სულ აქტივები	51,259,853	47,099,366
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	16,801,722	16,033,215
სულ კაპიტალი	16,803,722	16,035,215
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	6 14,365,901	12,939,390
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	14,365,901	12,939,390
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10 11,571,805	9,697,629
მიღებული ავანსები	-	31,798
მოკლევადიანი სესხები	11 7,955,020	8,395,335
საგადასახადო ვალდებულებები	563,406	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	20,090,230	18,124,762
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	51,259,853	47,099,366

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო



შპს ევროპროდუქტი
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2021	2020
მიმდინარე ოპერაციები			
შემოსავალი	12	82,932,426	65,048,088
რსო	13	(54,294,997)	(43,074,229)
მთლიანი მოგება		28,637,429	21,973,859
მიწოდების ხარჯები	14	(9,583,927)	(7,278,984)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(6,254,108)	(4,946,595)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(1,408,250)	(897,824)
მოგება პროცენტის ცვეთის და გადასახადების დარიცხვამდე (EBITDA)		11,391,144	8,850,456
გაუფასურებასთან დაკავშირებული ხარჯი	17	(343,158)	(35,446)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	18	1,116,016	(1,306,503)
საპროცენტო ხარჯი	19	(2,148,971)	(1,752,414)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,328,546)	(1,149,459)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	20	90,266	55,955
წლის მოგება		8,776,751	4,662,589
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		8,776,751	4,662,589

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

შპს ევროპროდუქტი
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2021	2020
მიმდინარე ოპერაციები			
შემოსავალი	12	82,932,426	65,048,088
რსო	13	(54,294,997)	(43,074,229)
მთლიანი მოგება		28,637,429	21,973,859
მიწოდების ხარჯები	14	(9,583,927)	(7,278,984)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(6,254,108)	(4,946,595)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(1,408,250)	(897,824)
მოგება პროცენტის ცვეთის და გადასახადების დარიცხვამდე (EBITDA)		11,391,144	8,850,456
გაუფასურებასთან დაკავშირებული ხარჯი	17	(343,158)	(35,446)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	18	1,116,016	(1,306,503)
საპროცენტო ხარჯი	19	(2,148,971)	(1,752,414)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,328,546)	(1,149,459)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	20	90,266	55,955
წლის მოგება		8,776,751	4,662,589
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		8,776,751	4,662,589

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო



შპს ევროპროდუქტი
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	2,000	16,841,580	16,843,580
სულ წლის სრული შემოსავალი	-	4,662,589	4,662,589
გადახდილი დივიდენდები		(5,470,954)	(5,470,954)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	2,000	16,033,215	16,035,215
სულ წლის სრული შემოსავალი	-	8,776,751	8,776,751
გადახდილი დივიდენდები	-	(8,008,244)	(8,008,244)
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	2,000	16,801,722	16,803,722

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

შპს ევროპროდუქტი
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	2,000	16,841,580	16,843,580
სულ წლის სრული შემოსავალი	-	4,662,589	4,662,589
გადახდილი დივიდენდები		(5,470,954)	(5,470,954)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	2,000	16,033,215	16,035,215
სულ წლის სრული შემოსავალი	-	8,776,751	8,776,751
გადახდილი დივიდენდები	-	(8,008,244)	(8,008,244)
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	2,000	16,801,722	16,803,722

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო



შპს ევროპროდუქტი
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე	8,776,751	4,662,589
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:		
ცვთა და ამორტიზაცია	3,304,057	2,861,780
ზარალი მარაგების ჩამოწერიდან	1,408,250	897,824
გაუფასურებული მარაგების რეზერვი	253,622	41,605
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	(1,116,016)	1,306,503
ანარიცხების დარიცხვა/(ამოტრიალება)	89,535	(6,159)
საპროცენტო ხარჯი	2,148,971	1,752,414
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	14,865,172	11,516,556
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლება/(ზრდა)	(1,618,773)	3,526,502
მარაგების (ზრდა)/კლება	(2,213,131)	(3,862,439)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება/(ზრდა)	1,661,353	3,434,427
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(2,170,551)	3,098,490
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(1,256,290)	(1,062,290)
გადახდილი პროცენტი	(889,586)	(690,124)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10,548,744	12,862,632
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(2,691,523)	(7,580,507)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები	(31,695)	(31,432)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	78,577	19,023
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,644,641)	(7,592,916)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი სესხებიდან	34,637,115	46,461,635
სესხების დაფარვა	(35,080,526)	(43,994,329)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(1,313,143)	(864,394)
გაცემული დივიდენდები	(6,870,890)	(5,605,426)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(8,627,444)	(4,002,514)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(723,342)	1,267,202
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,690,149	430,474
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე	(83,356)	(7,527)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	883,451	1,690,149

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

შპს ევროპროდუქტი
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე	8,776,751	4,662,589
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	3,304,057	2,861,780
ზარალი მარაგების ჩამოწერიდან	1,408,250	897,824
გაუფასურებული მარაგების რეზერვი	17 253,622	41,605
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	(1,116,016)	1,306,503
ანარიცხების დარიცხვა/(ამორტიზაცია)	17 89,535	(6,159)
საპროცენტო ხარჯი	2,148,971	1,752,414
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში	14,865,172	11,516,556
ცვლილებებამდე		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლება/(ზრდა)	(1,618,773)	3,526,502
მარაგების (ზრდა)/კლება	(2,213,131)	(3,862,439)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება/(ზრდა)	1,661,353	3,434,427
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(2,170,551)	3,098,490
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(1,256,290)	(1,062,290)
გადახდილი პროცენტი	(889,586)	(690,124)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10,548,744	12,862,632
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(2,691,523)	(7,580,507)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები	(31,695)	(31,432)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	78,577	19,023
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,644,641)	(7,592,916)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი სესხებიდან	34,637,115	46,461,635
სესხების დაფარვა	(35,080,526)	(43,994,329)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(1,313,143)	(864,394)
გაცემული დივიდენდები	(6,870,890)	(5,605,426)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(8,627,444)	(4,002,514)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(723,342)	1,267,202
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,690,149	430,474
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე	(83,356)	(7,527)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	883,451	1,690,149

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი

09 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ევროპროდუქტი“ (შემდგომში - კომპანია დაარსდა 2004 წლის 20 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით უშუალო მფლობელები იყვნენ: ნინო ბრეგვაძე 50%-იანი წილით და შპს „ჯი-თი გრუპი“ 50%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა საკვები და არასაკვები პროდუქტით. ჯგუფი ამარაგებს 2600-მდე მაღაზიას და ოპერირებას უწევს 33 მაღაზიას.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. ჯგუფის იურიდიული მისამართია აკაკი წერეთლის გამზირი #77, ბ 31, თბილისი, საქართველო.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ადგილია - საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ძირითად შვილობილ კომპანიებს: შპს „ბაუერნბროტი“-75%, დაარსებულია 2021 წლის 10 ნოემბერს.

დასაქმებულთა რაოდენობა.

2021 წლის განმავლობაში ჯგუფში დასაქმებული იყო საშუალოდ 600 თანამშრომელი.

ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უზუყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენენ ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდებიან პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენენ რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელი ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება

ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები გამიზნულია სერვისის მიწოდებით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისათვის. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად, ჯგუფის კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნესმოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) - კლასიფიცირდება.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფიმ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური

ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. *ჯგუფი* ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულებით არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფუნქციონალური ვალუტა. *ჯგუფის* ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს *ჯგუფი* ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). *ჯგუფის* ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). *ჯგუფის* ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვლა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობები	40 – 50
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5 – 10
სპეციალური ინვენტარი	5 – 10
სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10
სხვა ძირითადი საშუალებები	5 – 10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 – 10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც ჯგუფი ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით ჯგუფის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით განაწილდებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ ჯგუფის გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასებით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; შესაბამისი ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

ჯგუფი შემოსავლების სამსახურისგან მისაღებ საგადასახადო აქტივებს აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი არარეზიდენტ პირებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადს იხდის არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოვიდა - პირველი გავიდა (ფიფო) მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება აქტივის გაუფასურების.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფი 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე საფუძველზე. ჯგუფიმ შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიკურია.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეზღუდული ბალანსები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ეკვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ბალანსები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე რეპორტირების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესების მიერ. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა ჯგუფიზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა ჯგუფის მფლობელების მიერ, რომლებიც განსაზღვრული იყო ჯგუფის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად,

მაგრამ არ იყო ასახული ჯგუფის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი სააქციოონერო კაპიტალში.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემდგომ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად ჯგუფის აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება და სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დაფარვა, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიკური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. ჯგუფის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებაში. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ სხვა ქვეყანაში.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი კლიენტს გადაეცემა და იმ თანხით, რომლის მიღებასაც ჯგუფი ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ჯგუფი შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. ჯგუფის არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს ჯგუფის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

ჯგუფი იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განავითარონ ჯგუფი საქართველოში. როგორც 22-ე შენიშვნაშია მოცემული, ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - „კოვიდ 19“-ის გავლენა საწარმოს ფუნქციონირებაზე: საქართველოს მთავრობის 297-ე დადგენილების თანახმად ჯგუფის მიერ შეზღუდული მუშაობის უფლება, ძირითადი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში და სრულად განაახლა საოპერაციო საქმიანობა 2020 წლის მაისის შუა რიცხვებიდან. გარდა ამისა, ჯგუფის ხელმძღვანელობას არ აქვს არსებითი უარყოფითი შედეგების მოლოდინი საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, ჯგუფის საქმიანობის სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ჯგუფის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. ჯგუფი კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტაიმედოებასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

- **კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა** 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16).

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16)“, რომელიც ერთი წლით ახანგრძლივებს 2020 წლის მაისის შესწორების მოქმედებას. ამ შესწორებით მოიჯარეს უფლება ჰქონდა, თავად გადაეწვიტა, იყო თუ არა კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ახალი ან რედაქტირებული სტანდარტი ან ინტერპრეტაცია	ძალაშია შემდეგ თარიღში ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის
ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში)	1 იანვარი 2023
სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება (შესწორება სტანდარტში ბასს 8)	1 იანვარი 2023
სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება - (შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ)	1 იანვარი 2023
წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი	
მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე (შესწორება სტანდარტში ფასს 3)	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – „მძიმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი“	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 12 - ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.	თარიღს დაადგენს ბასსს

ჯგუფი არ მოელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მომავალ პერიოდებში ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, განმარტებისა და წარმოდგენის პრინციპები, რომელიც ჩაანაცვლებს ფასს 4-ის - სადაზღვევო კონტრაქტებს.

სტანდარტი იძლევა „ზოგად მოდელს“, რომელიც მოდიფიცირდება და განიხილება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც “ცვლადი ანაზღაურების მიდგომად” განისაზღვრება. “ზოგადი მოდელი” მარტივდება “პრემიუმის განაწილების მიდგომის” გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

“ზოგად მოდელში” გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით. მოდელი ცალცალკე აფასებს ამ განუსაზღვრელობის ღირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. პირმა ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება სამართლიანი ღირებულების მიდგომა ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა. ფასს 17-ის შესწორებათა წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს განხორციელების იმ სირთულეების გადაჭრას, რომლებიც ფასს 17-ის გამოქვეყნების შემდეგ გაჩნდა. ამ თვალსაზრისით სტანდარტის ძალაში შესვლა გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე (დადგინდა 2021 წლის 1 იანვრიდან).

გარდამავალი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, პირველი გამოყენების თარიღია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომლის დროსაც პირი სტანდარტს პირველად გამოიყენებს, ხოლო გადასვლის თარიღად ითვლება იმ პერიოდის დასაწყისი, რომელიც უშუალოდ უსწრებს პირველი გამოყენების თარიღს.

ჯგუფის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული სტანდარტის ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალში ჯგუფის შემოკლებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ჯგუფის არ აქვს ამ სტანდარტით რეგულირებული ინსტრუმენტები.

შესწორება სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის. შესწორებები სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 ეხება ისეთ სიტუაციებს, როდესაც ადგილი აქვს ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვას ან შეწირვას. კერძოდ, შესწორებების მიხედვით, ისეთი მოგება ან ზარალი, რაც წარმოიშვება ისეთ შვილობილზე კონტროლის დაკარგვით, რომელიც არ მოიცავს ბიზნესს, თუ კონტროლის დაკარგვა მოხდა კაპიტალის მეთოდით აღრიცხულ პარტნიორთან ან ერთობლივ საწარმოსთან ტრანზაქციაში, დამფუძნებლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება მხოლოდ ამ პარტნიორსა თუ ერთობლივ საწარმოში არამეკავშირე ინვესტორის მიერ ფლობილი წილის პროპორციულად. ამგვარადვე, ყოფილ შვილობილში (რომელიც გახდა კაპიტალის მეთოდით აღრიცხული პარტნიორი ან ერთობლივი საწარმო) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებაზე გადაფასებიდან წარმოშობილი მოგება და ზარალი ყოფილი დამფუძნებლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება მხოლოდ ახალ პარტნიორსა თუ ერთობლივ საწარმოში არამეკავშირე ინვესტორის მიერ ფლობილი წილის პროპორციულად.

ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დადგენილა. თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. ჯგუფის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული სტანდარტის ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალში ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ამგვარი ტრანზაქციების განხორციელების შემთხვევაში.

შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებზე (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში). შესწორება პირს ეხმარება იმის დადგენაში, რომ ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება, თუ ორგანიზაცია მოელის და აქვს იმის უფლებამოსილება, რომ მოახდენს ვალდებულების რეფინანსირებას ან მისი დაფარვის ვადას გადადებს სულ მცირე 12 თვით საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ეს მოხდება წინა გამსესხებელთან არსებული საკრედიტო ხაზით, იმავე ან მსგავსი პირობებით. შესწორებით რედაქტირდება მხოლოდ ვალდებულებათა წარმოდგენის ფორმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანუ არა თანხის, აღიარების მომენტის ან ინფორმაციის განმარტების თვალსაზრისით.

შესწორება განმარტავს, რომ კლასიფიცირების საფუძველად აღებული უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დაფარვის სულ მცირე 12 თვით გადადების უფლების არსებობა. ამდენად, შესწორება მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ვალდებულების კლასიფიკაციაზე მოქმედებს მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც არსებობს „საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს“. გარდა ამისა, კლასიფიკაცია არაა დამოკიდებული იმის მოლოდინზე, გამოიყენებს თუ არა ორგანიზაცია ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებას, რაშიც მოიაზრება კონტრაგენტისათვის სახსრების, კაპიტალის ინსტრუმენტების თუ სხვა აქტივების ან მომსახურებების გადაცემა. შესწორება რეტროსპექტიულად ვრცელდება 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ პერიოდებზე. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

სხვა

ჯგუფის არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ევროპროდუქტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 5 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა	კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	სპეციალური ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება 31 დეკემბერი 2019	556,341	1,034,410	2,442,309	852,959	4,308,021	1,602,707	70,020	879,520	11,746,287
შესყიდვა	5,128,900	239,639	892,449	218,333	830,261	270,925			7,580,507
რეალიზაცია				(2,644)	(7,529)	(9,730)			(19,903)
გადატანა		(127,051)	74,137					52,914	-
ღირებულება 31 დეკემბერი 2020	5,685,241	1,146,999	3,408,895	1,068,648	5,130,753	1,863,901	70,020	932,434	19,306,891
შესყიდვა	296,814	319,423	538,422	147,198	1,366,617	8,064	12,905	2,081	2,691,523
რეალიზაცია			(54,981)		(15,413)	(19,855)			(90,249)
გადატანა		(1,419,892)	1,170,478					249,414	-
ღირებულება 31 დეკემბერი 2021	5,982,055	46,530	5,062,814	1,215,846	6,481,956	1,852,110	82,925	1,183,929	21,908,165
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	-	-	(266,732)	(437,674)	(1,278,317)	(610,516)	(42,958)	(183,035)	(2,819,232)
ცვეთის ხარჯი			(58,131)	(153,688)	(624,168)	(155,833)	(11,060)	(125,002)	(1,127,882)
რეალიზაციის ცვეთის ღირებულება				183	460	237			880
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	-	-	(324,863)	(591,179)	(1,902,025)	(766,112)	(54,018)	(308,037)	(3,946,234)
ცვეთის ხარჯი			(74,724)	(136,889)	(791,355)	(167,504)	(4,763)	(130,568)	(1,305,803)
რეალიზაციის ცვეთის ღირებულება					437	5,683			6,120
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	-	-	(399,586)	(728,069)	(2,692,943)	(927,933)	(58,781)	(438,605)	(5,245,917)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2019	556,341	1,034,410	2,175,577	415,285	3,029,703	992,191	27,062	696,486	8,927,055
31 დეკემბერი 2020	5,685,241	1,146,999	3,084,032	477,469	3,228,728	1,097,789	16,002	624,397	15,360,657
31 დეკემბერი 2021	5,982,055	46,530	4,663,228	487,777	3,789,013	924,177	24,143	745,324	16,662,248

შენიშვნა 6 - იჯარები

აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საწყობი
31 დეკემბერი 2019	8,651,096
ახალი საიჯარო კონტრაქტები	3,593,650
ცვეთა	(1,712,320)
31 დეკემბერი 2020	10,532,426
ახალი საიჯარო კონტრაქტები	3,548,122
ცვეთა	(1,975,512)
31 დეკემბერი 2021	12,105,036

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საწყობი
31 დეკემბერი 2019	9,118,549
ახალი საიჯარო კონტრაქტები	3,593,650
საპროცენტო ხარჯი	1,062,290
საიჯარო გადასახდელები	(1,924,445)
საკურსო სხვაობა	1,089,346
31 დეკემბერი 2020	12,939,390
ახალი საიჯარო კონტრაქტები	3,548,122
საპროცენტო ხარჯი	1,256,290
საიჯარო გადასახდელები	(2,569,433)
საკურსო სხვაობა	(808,467)
31 დეკემბერი 2021	14,365,901

2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 16-ის გამოყენებით გამოწვეული ეფექტები:

31 დეკემბერი 2020	-
ცვეთა	(1,975,511)
საპროცენტო ხარჯი	(1,256,290)
საკურსო სხვაობა	808,467
საიჯარო გადასახდელები	2,569,433
31 დეკემბერი 2021	146,099

შენიშვნა 7 - მარაგები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020
ყველისებრი და რძის პროდუქტი	4,122,570	4,209,175
ტკბილეული	1,588,947	1,602,732
ბაკალეა	2,525,031	2,285,221
სასმელები	1,620,128	1,444,120
კონსერვაცია	448,458	305,234
ხორც პროდუქტები	1,144,433	1,021,136
ზღვის პროდუქტები	200,222	377,601
სხვა	1,160,117	1,013,427
სულ მარაგები	12,809,905	12,258,646

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისათვის, ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	7,879,409	6,620,339
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	381,744	214,462
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	756,988	857,316
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,018,141	7,692,117
სავაჭრო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვი	(393,411)	(303,876)
სხვა მოკლევადიან მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვი	(748,004)	(748,004)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	7,876,726	6,640,237

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

(ლარი)	2021	2020
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის	1,051,880	1,058,039
კორექტირება ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის გამოყენებისას		
გაუფასურების რეზერვი 1 იანვარს	1,051,880	1,058,039
დარიცხული გაუფასურება	288,520	198,986
გაუფასურების რეზერვის გაუქმება წლის განმავლობაში	(198,986)	(205,144)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის	1,141,415	1,051,880

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი შემდეგია:

31 დეკემბერი 2021	ვადაგადაუცილე ბელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცხადებით	30-90 დღის ვადაგადაცხადებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცხადებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	7,731,221	91,370	192,567	1,045,337	9,060,495
მსდ არსებობის მანძილზე	-	-	(96,078)	(1,045,337)	(1,141,415)

31 დეკემბერი 2020	ვადაგადაუცილე ბელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცხადებით	30-90 დღის ვადაგადაცხადებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცხადებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	6,245,203	48,106	45,813	977,971	7,317,093
მსდ არსებობის მანძილზე	(54,897)	(4,811)	(14,202)	(977,971)	(1,051,880)

შენიშვნა 9 - ფული და ფულის ექვივალენტები

2021 და 2020 31 დეკემბრის დასრულებული წლებისათვის ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული სალაროში	80,792	45,549
ფული ბანკში	802,659	1,644,600
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	883,451	1,690,149

შენიშვნა 10- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	9,551,274	8,874,811
გადასახდელი ხელფასები	584,947	435,867
გადასახდელი დივიდენდები	1,380,881	243,527
სხვა გადასახდელეები	54,702	143,424
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,571,805	9,697,629

შენიშვნა 11 - მოკლევადიანი სესხები

შპს ევროპროდუქტი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სასესხო ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:
სესხების ვადიანობა:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
პროკრედიტ ბანკი #1	ლარი	10%	10/8/2018	2,100,000	2,100,000
პროკრედიტ ბანკი #3	ევრო	6%	12/9/2018	-	-
პროკრედიტ ბანკი #2	ევრო	6.80%	16/05/2019	-	-
პროკრედიტ ბანკი #4	ლარი	11.00%	8/4/2020	-	414,754
პროკრედიტ ბანკი #5	ლარი	11.00%	10/4/2020	-	880,580
პროკრედიტ ბანკი #6	ლარი	11.00%	10/4/2020	3,002,157	2,000,000
თიბისი ბანკი # 1	ლარი	11.00%	16/05/2019	2,852,863	3,000,000
სულ ფული და ფულის ექვივალენტი				7,955,020	8,395,335

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ერთ თვემდე	-	102,208
ერთიდან სამ თვემდე	-	309,624
სამიდან თორმეტ თვემდე	7,955,020	7,983,502
სულ ერთ წელიწადში გადასახდელი მიმდინარე ნაწილი	7,955,020	8,395,335
ერთიდან ხუთ წლამდე		-
სულ ნასესხები სესხები	7,955,020	8,395,335

შპს ევროპროდუქტი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	1 იანვარი 2021	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2021
აღებული სესხები	8,395,335	(443,410)	3095	-	7,955,020

	1 იანვარი 2020	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2020
აღებული სესხები	5,890,399	2,467,307	-	37,629	8,395,335

შენიშვნა 12 - შემოსავალი

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჯგუფის შემოსავალი მოიცავდა:

	2021	2020
ყველისებრი და რძის პროდუქტი	34,069,915	27,275,950
ტკბილეული	9,008,899	6,932,402
ბაკალეა	14,893,764	12,933,328
სასმელები	5,637,733	4,881,906
კონსერვაცია	1,364,825	1,477,642
ხორც პროდუქტები	8,060,873	5,391,241
ზღვის პროდუქტები	1,037,872	775,142
სხვადასხვა	8,858,543	5,380,478
სულ შემოსავალი	82,932,426	65,048,088

შენიშვნა 13 - რეალიზაციის თვითღირებულება

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

	2021	2020
ყველისებრი და რძის პროდუქტი	22,756,419	17,543,582
ტკბილეული	5,380,241	4,040,125
ბაკალეა	9,715,986	8,209,649
სასმელები	4,210,906	3,539,367
კონსერვაცია	832,943	932,314
ხორც პროდუქტები	4,363,013	2,788,874

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ზღვის პროდუქტები	742,291	533,531
სხვადასხვა	6,293,197	5,486,787
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	54,294,997	43,074,229

შენიშვნა 14- მიწოდების ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჯგუფის მიწოდების ხარჯები მოიცავდა:

	2021	2020
ხელფასები და შესაბამისი ხარჯები	5,109,296	3,518,080
იჯარა	762,482	648,207
ცემა და ამორტიზაცია	1,975,512	1,712,320
საწვავის ხარჯი	445,823	289,964
საექსპლუატაციო ხარჯები	260,448	225,432
სარეკლამო ხარჯი	620,469	384,601
მივლინების ხარჯი	24,703	28,366
მიწოდების სხვა ხარჯები	385,193	472,014
სულ მიწოდების და დისტრიბუციის ხარჯები	9,583,926	7,278,984

შენიშვნა 15 - ადმინისტრაციული ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჯგუფის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	2021	2020
ხელფასები და შესაბამისი ხარჯები	2,894,204	2,417,106
იჯარა	99,934	85,844
კომუნალური	1,159,862	616,788
სამეურნეო ხარჯები	87,426	68,137
ბანკის მომსახურების ხარჯები	634,617	530,352
საგადასახადო ხარჯები	217,682	171,408
საკანცელარიო ხარჯები	133,821	68,747
მივლინების ხარჯები	15,385	27,971
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	79,221	55,758
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	931,956	904,484
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6,254,108	4,946,595

შენიშვნა 16 - სხვა საოპერაციო ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჯგუფის საოპერაციო ხარჯები მოიცავდა:

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2021	2020
ვადაგასული და გაფუჭებული მარაგების ჩამოწერა	1,408,250	897,824
სულ საოპერაციო ხარჯები	1,408,250	897,824

შენიშვნა 17- გაუფასურებასთან დაკავშირებული ხარჯი

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჯგუფის გაუფასურებასთან დაკავშირებული ხარჯი მოიცავდა:

	2,021	2,020
მარაგების გაუფასურების რეზერვი	253,622	41,605
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	89,535	(6,159)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი წმინდა	343,158	35,446

შენიშვნა 18- ფინანსური ხარჯი/შემოსავალი წმინდა

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი შედგება შემდეგი ოპერაციებისაგან

	2021	2020
მოგება სავალუტო ოპერაციებზე	696,717	976,374
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	(389,168)	(1,193,531)
მოგება სავალუტო ოპერაციებზე (ფასს 16)	808,467	(1,089,346)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი წმინდა	1,116,016	(1,306,503)

შენიშვნა 19- საპროცენტო ხარჯი

ჯგუფის საპროცენტო ხარჯი შედგება ოპერაციებისაგან:

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი (სესხის პროცენტი)	892,681	690,124
საპროცენტო ხარჯი (ფასს 16)	1,256,290	1,062,290
სულ არასაოპერაციო შემოსავალი წმინდა	2,148,971	1,752,414

შენიშვნა 20 - სხვა არასაოპერაციო შემოსავალი წმინდა

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჯგუფის არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავდა:

	2,021	2,020
შემოსავლები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან (დღგ)	(2,345)	(7,924)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი წმინდა	92,611	63,880
სულ არასაოპერაციო შემოსავალი წმინდა	90,266	55,956

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ჯგუფის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში ჯგუფის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფის შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფიში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. ჯგუფიზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს ჯგუფის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ჯგუფიზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,876,726	6,640,237
ფული და ფულის ეკვივალენტი	883,451	1,690,149
სულ საკრედიტო რისკი	8,760,177	8,330,385

საბაზრო რისკი. ჯგუფიზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს ჯგუფი არ იყენებს.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021			31 დეკემბერი 2020		
	USD 1 = 3.2766 GEL	EUR 1 = 4.0233 GEL	GBP 1 = 4.4529 GEL	USD 1 = 3.2766 GEL	EUR 1 = 4.0233 GEL	GBP 1 = = 4.4529 GEL
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	688	26,543	256	6,270	1,169,119	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	688	26,543	256	6,270	1,169,119	-
ფინანსური ვალდებულებები						
სესხები		-			-	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	454,864	2,508,066	-	353,778	3,238,524	
სულ ფინანსური ვალდებულებები	454,864	2,508,066	-	353,778	3,238,524	-
სულ წმინდა პოზიცია	(454,176)	(2,481,523)	256	(347,508)	(2,069,405)	-

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების შემთხვევაში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2021 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		GBP ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	GBP/GEL	GBP/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(90,835)	90,835	(496,305)	496,305	51	(51)

2020 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		GBP ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	GBP/GEL	GBP/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(69,502)	69,502	(413,880)	413,880	-	-

ეს რისკი გაანგარიშებულია ჯგუფის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან მიმართებაში.

კაპიტალის რისკი. ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფში შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, ჯგუფი კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში პლუს წმინდა ვალი.

31 დეკემბერი 2021

31 დეკემბერი 2020

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სულ სესხები (შენიშვნა 11)	7,955,020	8,395,335
ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 9)	(883,451)	(1,690,149)
წმინდა სესხები	7,071,568	6,705,186
სულ კაპიტალი	16,803,722	16,035,215
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	42%	42%

საპროცენტო რისკი. *ჯგუფი* საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, *ჯგუფის* ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს, დაფაროს ყველა ვალდებულება. *ჯგუფი* ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება *ჯგუფის* საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება *ჯგუფის* საფინანსო განყოფილების მიერ. *ჯგუფის* საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, *ჯგუფის* აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, *ჯგუფის* უნარის დაფაროს სხვა არაუპროდუქტიული კრედიტორების დავალიანება გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2021 წლის 31 დეკემბერი:

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	თვეზე ნაკლები დროით	1 წელზე მეტი		
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტი	883,451	-	-	883,451
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,780,236	192,567	1,045,337	9,018,140
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	8,663,687	192,567	1,045,337	9,901,591
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,571,805	-	-	11,571,805
სესხები	-	7,955,020	-	7,955,020
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	11,571,805	7,955,020	-	19,526,824
ლიკვიდობის დეფიციტი	(2,908,118)	(7,762,452)	1,045,337	(9,625,233)
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(2,908,118)	(10,670,570)	(9,625,233)	

2020 წლის 31 დეკემბერი:

	მოთხოვნა 6 თვეზე ნაკლები დროით	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტი	1,690,149	-	-	1,690,149
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,293,309	45,813	977,971	7,317,093
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	7,983,458	45,813	977,971	9,007,241
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,697,629	-	-	9,697,629
სესხები	411,832	7,983,502	-	8,395,334
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	10,109,461	7,983,502	-	18,092,963
ლიკვიდობის დეფიციტი	(2,126,003)	(7,937,689)	977,971	(9,085,722)
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(2,126,003)	(10,063,692)	(9,085,722)	

ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	13,119	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,000)	3,267	197,504

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი
ხელფასები და შესაბამისი ხარჯები	105,044	-	620,680
საექსპლუატაციო ხარჯები	-	25,329	-
მარაგების რეალიზაცია	19,699	22,586	1,673

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,155	11,134	19,053
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	90,000	5,106	157,100

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი
ხელფასები და შესაბამისი ხარჯები	169,427	-	628,521
საექსპლუატაციო ხარჯები	-	26,702	-
მარაგების რეალიზაცია	1,018	11,134	11,412
ძირითადი საშ. შემენა	-	298,321	-

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ

არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით.

წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან იყო დაკავშირებული. 2020 და 2019 წლების განმავლობაში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ დასაწყისია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფებებით გამოწვეულ სამომავლო ცვლილებებში.

ხელმძღვანელობა უძლურია, განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს როგორც ბიზნეს სექტორზე, აგრეთვე მთლიანად ეკონომიკაზე და შესაბამისად, დაადგინოს, თუ რა ეფექტი ექნება მათ ჯგუფის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

ამასთან ერთად, 2020 წლის დასაწყისში ახალმა კოვიდ-19-ის ვირუსმა დაიწყო გავრცელება მთელს მსოფლიოში, რომელიც 2020 წლის მარტში გამოცხადდა როგორც პანდემია მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ. შეზღუდვებმა, რომელიც დაწესებული იყო პანდემიის შესაჩერებლად თითქმის ყველა ქვეყნის მიერ, მსოფლიოში გამოიწვია ეკონომიკის გაჩერება რამაც მნიშვნელოვნად გავლენა იქონია მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე.

მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში, პანდემია ვაქცინაციის ფაზაში შევიდა, რასაც დადებითი ეფექტი ექნება ეკონომიკაზე.

სავალუტო ბაზრის გაზრდილი მერყეობა და სხვა ვალუტების მიმართ ქართული ლარის გაუფასურება, შესაძლებელია, ასახავდეს კორონავირუსით გამოწვეულ ეკონომიკურ შოკსა და პანდემიისა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების მომავალი განვითარების მოლოდინებს.

მენეჯმენტი უძლურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენა და, შესაბამისად, ყველა ის ეფექტი, რაც ამ მოვლენებმა შეიძლება იქონიოს ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად. ჯგუფიმ 2022 წლის განმავლობაში გახსნა მაღაზია ქ. თბილისში, წლის ბოლომდე იგეგმება კიდევ ერთი მაღაზიის გახსნა.

შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს ევროპროდუქტი
მმართველობითი ანგარიშგება და
2021 წლის საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ევროპროდუქტი, ს/ნ 202227134, დაარსდა 2004 წლის აპრილს. კომპანიამ ქართულ ბაზარზე ოპერირება დაიწყო ფინური რძის ნაწარმის, კერძოდ „ვალის“-ს პროდუქციის იმპორტითა და დისტრიბუციით. მოგვიანებით დავიმატეთ ევროპული მწარმოებლების სხვა პროდუქტები, როგორებიცაა ესპანური ხორცპროდუქტები „ელპოზო“, დანიური პრემიუმ ხარისხის „არლას“ და ჰოლანდიური „ფრიკოს“ რძის პროდუქტები, შოტლანდიური „ვოლქერსის“ კარაქის ორცხობილები, ნამდვილი ბელგიური შოკოლადი „კაშე“, შრილანკური ბრენდი „დილმა“ და მრავალი სხვა. დეტალურად ასორტიმენტის ნახვა შესაძლებელია მისამართზე <http://www.europroduct.ge>.

შპს „ევროპროდუქტი“ ფლობს შვილობილ კომანია - შპს „ბაუერნბროტი“-ს-75%-ს, რომელიც დაარსებულია 2021 წლის 10 ნოემბერს.

შპს ევროპროდუქტის მიერ იმპორტირებული პროდუქცია უმაღლესი ხარისხის ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა და დანამატებისგან თავისუფალი ევროპული ნაწარმის მრავალფეროვან ასორტიმენტს წარმოადგენს.

დღეს არსებული მდგომარეობით, შპს ევროპროდუქტი წამყვან პოზიციას იკავებს იმპორტირებული პროდუქციის მრავალსახეობით, რომელთა რიცხვი პროგრესულად იზრდება.

შპს ევროპროდუქტის სადისტრიბუციო ქსელი მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს. კომპანია ამარაგებს 2600-მდე მაღაზიას, ამასთან წარმატებული ურთიერთობა აქვს ადგილობრივ სუპერმარკეტების ქსელებთან, როგორებიც არიან: „გუდვილი“, „აგროჰაბი“ „უნივერსამი“ „ფრესკო“ „სმარტი“, „ფუდმარტი“, „ზღაპარი“, ჰორეკას მიმართულება და სხვა საცალო თუ საბითუმო მოვაჭრეები საკვები პროდუქტებით.

ჩვენი კომპანია საკვების პროდუქტების იმპორტიორია, შესაბამისად ჩვენ მკაცრად ვაკონტროლებთ ჩვენი პროდუქციის ხარისხს და ვარგისიანობის ვადებს.

საქართველოში საკვები პროდუქციის ხარისხს არეგულირებს სურსათის/ცხოველური საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი და ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები. კოდექსი განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს დისტრიბუციისას, ბიზნეს ოპერატორის ვალდებულებებს, სურსათის ექსპორტისა და იმპორტის მოთხოვნებს, კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრულად ვასრულებთ კანონის მოთხოვნებს, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, რომელიც არის ჩვენი საქმიანობის სფეროს ძირითადი მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო. სააგენტოს მიერ ჩვენი პროდუქციის შემოწმების შედეგად არ დაუწესებია არანაირი სანქცია ან ჯარიმა.

კომპანიამ გახსნა რუსთავეში, თელავში, ბაკურიანში, ბათუმში, ქუთაისში და ზუგდიდში ფილიალები ასევე გააფართოვა თბილისის ქსელი. ჩვენ ოპერირებას ვუწევთ 30 მაღაზიას, რომელთა მდებარეობა მითითებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე <http://www.europroduct.ge/>

კომპანიის უახლეს გეგმებში შედის მაღაზიების ქსელის გაფართოება. დაგეგმილია რამდენიმე ახალი მაღაზიის ამოქმედება. ქსელის გაფართოების პირდაპირი შედეგი იქნება პროდუქციის მომხმარებლისთვის მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფა, შეთავაზებული ასორტიმენტის გაზრდა, ასევე ცნობადობის ამაღლება, რაც თავის მხრივ დაგვეხმარება გაყიდვებისა და მოგების გაზრდაში. ზრდის სტრატეგიის დაფინანსება იგეგმება როგორც საკუთარი სახსრებით - მოგების რეინვესტირებით, ისე ბანკისგან მიღებული სესხებით.

ჩვენს კომპანიაში მკაცრად არის განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება მოვალეობები.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

ნინო ბრეგვაძე, პ/ნ 01015003360	50%
შპს ჯი-თი გრუპ, ს/ნ 200119923	50%

კომპანიას მართავენ აღმასრულებელი დირექტორები - დავით ოსეფაშვილი და გიორგი თავდიშვილი, მათ უშუალო დაქვემდებარებაში არიან კომპანიის ცალკეული განყოფილების ხელმძღვანელები.

წარმოდგენილი გუნდი იღებს ყველ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით საკუთარი კომპეტენციისა და უფლება მოვალეობების ფარგლებში. ჩვენი კომპანია საქმიანობს მაღალკონკურენტულ გარემოში, მის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება სავალუტო და საკრედიტო რისკები ასევე დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკი.

სავალუტო რისკი განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, დამახასიათებელი რისკია, რომლის წინაშეც დგას ყველა იმპორტიორი კომპანია. შპს ევროპროდუქტის მენეჯმენტის მიერ რეგულარულად ხდება საბანკო პროდუქტის დანახარჯისა და სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილების სავარაუდო პროცენტული მაჩვენებლის გავლენის შეფასება კომპანიის მოგება-ზარალზე. ამ ეტაპზე, დანახარჯებისა და მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინებით, არ ვიყენებთ რაიმე ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტს აღნიშნული რისკის შესამცირებლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შპს ევროპროდუქტი თავის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი, ასევე ფინანსური ინსტიტუტებისგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს საკრედიტო რისკიც. სესხის აღებამდე კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს ქვეყნის წამყვანი ბანკების მიერ შემოთავაზებულ რამდენიმე წინადადებას და იღებს მათგან საუკეთესოს. მუდმივად თვალყურს ადევნებს ქვეყნის საბანკო სისტემაში მომხდარ ცვლილებებს, პერიოდულად გადასინჯავს საკუთარ არსებულ საკრედიტო პირობებს და ცვლის მათ უფრო შესაფერისით.

დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შპს ევროპროდუქტის საქმიანობისთვის. კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს დებიტორული დავალიანებების მონიტორინგი. დანერგილია კონსიგნაციით ვაჭრობის ავტომატიზებული კონტროლის სისტემა, რომლის პირობებიც შეთანხმებულია მენეჯმენტთან, დებიტორული დავალიანების დროულად მიღებაში ჩართულია კომპანიის არაერთი თანამშრომელი, რომელთა ანაზღაურება პირდაპირ დაკავშირებულია მათ მიერ მიღებულ შედეგზე. კომპანია, წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხანდაზმულ ან საეჭვო დებიტორულ დავალიანებებზე ქმნის რეზერვს

ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, რომელსაც გადასინჯავს დებიტორული დავალიანების ცვლილების მიხედვით ყოველი მომდევნო საანგარიშო წლის ბოლოსათვის.

მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ 2021 და 2020 წლების ფინანსური კოეფიციენტები, საიდანაც უფრო მარტივი დასანახია ჩვენი წარმატებები და მომავალი სამუშაო მიმართულებები:

	2021 წელი	2020 წელი
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	4.24	3.51
მთლიანი აქტივების კოეფიციენტი	1.62	1.38
აქტივების კაპიტალთან ფარდობა	3.05	2.94
საერთო მოგების ნორმა	0.35	0.34
გადასახადამდე მოგების ნორმა	0.11	0.07
აქტივების შემოს. კოეფიციენტი (ROA)	0.17	0.10
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.09	1.14
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.42	0.44
ნაღდი ფულის კოეფიციენტი	0.04	0.09

	2021 ლარი		2020 ლარი	
საოპერაციო მოგება პროცენტამდე ცვეთამდე და გადასახადებამდე	11,391,144	14%	8,850,456	14%

შპს „ეროპროდუქტი“

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი

2022 წელი, თბილისი, საქართველო

ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, რომელსაც გადასინჯავს დებიტორული დავალიანების ცვლილების მიხედვით ყოველი მომდევნო საანგარიშო წლის ბოლოსათვის.

მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ 2021 და 2020 წლების ფინანსური კოეფიციენტები, საიდანაც უფრო მარტივი დასანახია ჩვენი წარმატებები და მომავალი სამუშაო მიმართულებები:

	2021 წელი	2020 წელი
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	4.24	3.51
მთლიანი აქტივების კოეფიციენტი	1.62	1.38
აქტივების კაპიტალთან ფარდობა	3.05	2.94
საერთო მოგების ნორმა	0.35	0.34
გადასახადამდე მოგების ნორმა	0.11	0.07
აქტივების შემოს. კოეფიციენტი (ROA)	0.17	0.10
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.09	1.14
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.42	0.44
ნაღდი ფულის კოეფიციენტი	0.04	0.09

	2021 ლარი		2020 ლარი	
საოპერაციო მოგება პროცენტამდე ცვეთამდე და გადასახადებამდე	11,391,144	14%	8,850,456	14%

შპს „ევროპროდუქტი“

დავით ოსეფაშვილი
დირექტორი

გიორგი თავდიშვილი
დირექტორი



2022 წელი, თბილისი, საქართველო